

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის
N43 ბინის 2/5 ნაწილზე, მოქალაქე თამარა სიმონიანცისათვის
საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ბუხაიდის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თამარა სიმონიანცის განცხადება /2012 წლის 12.10 Nს-8652/, რითაც ითხოვს საცხოვრებელი ბინის /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლი N43 ბინა/ 2/5 ნაწილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N43 ბინის 2/5 ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თამარა სიმონიანცს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა N17 საცხოვრებელი სახლის N43 ბინის 2/5 ნაწილზე /საერთო ფართობი 69,39 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 44,84 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,55 კვ.მ./ მოქალაქე თამარა სიმონიანცის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგვიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ა.ძოწენიძე